პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 53 (18595) პარასკევი, 4 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საბჭოთა აფხაზეთის 62 წლისთავი

შეხვედრა მიღწევებზე

● ეკონომიურობა და კომპაქტურობა მთავარი ღირსებაა სამი ახალი მოდელის გახათბობი დუმელებისა, რომელთა გამოშვება დაიწყო სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის კოლექტივმა.

ნაწარმის კონსტრუქციის გაუმჯობესების მისწრაფებამ მას შესაძლებლობა მისცა იანვარში გადაკარბებით შეესრულებინა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების დავალება. მისმა ხვედრითმა წილმა წარმოების საერთო მოცულობაში დაგეგმილი 51-ის ნაცვლად 58,8 პროცენტი შეადგინა.

წარმოების მუშაკებმა, რომლებიც ჩაბმული არიან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით „წლის პირველი დღეებიდანვე — დამკვრელურად!“ გადაკარბებით შეასრულეს იანვრის დავალება ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით.

მეაპარატეებმა ვალდებულება იკისრეს წლეულს თავიანთი ძირითადი საამქროების საჭიროებებისათვის დაზოგონ 45 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 10 ათასი ტონა ლითონი.

● მაღაროთსამმართველოს „ტყვარჩელის“ ცენტრალურ მამდიდრებელ ფაბრიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სამპროდუქტიანი მიდროციკლონი, რომლის მეოხებითაც მკვეთრად გაიზარდა კოქსადი ქვანახშირის გამოშვება.

ამ საწარმოში დიდი ყურადღება ეთმობა ტექნიკურ განახლებას მთელი დახშულ-ციკლური ტექნოლოგიური ციკლით. ... დაინერგა და სტაბილურად ... შაობს ქვეყანაში პირველი მძიმე საშუალო მიდრაციული დანადგარი — უკანასკნელი სიტყვა საბჭოური ქვანახშირის გამდიდრებაში. სიახლის საშუალებით შესაძლებელი გახდა 50 პროცენტით გაზრდილიყო კოქსის კონცენტრატის გამოსავლიანობა, გაუმჯობესებულიყო მისი ხარისხი, მაგრამ მას არ შეუძლია გადაამუშაოს შახტებიდან შემოხული ქვანახშირის მთელი ნაკადი. ახლა ქვანახშირი ახალი ტექნოლოგიური ციკლით მდიდრდება, რამაც განაპირობა საწარმოს კოლექტივის მიღწევა.

წელს დამლევისათვის დაგეგმილია დამთავრდეს სალექი მანქანების და სხვა მოწყობილობის დამონტაჟება.

აფხაზეთის გაზაფხული

ბ. სოკოლოვის ფოტო.

ხუთწლედი: წელი მესამე

ჩოხატაურელთა პლანტაციებში

ჩაის ფოთლის კრეფისა და მისი უხვი მოსავლის მოწევის კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ყოველწლიურად მეტ და მაღალხარისხოვან ნედლეულს ამზადებენ. ქვეყანა რომ ქართველი მეჩაიეებისგან მეტ და მაღალხარისხოვან ჩაის მოელის, ეს კარგად იციან აქაურმა მეჩაიეებმა და მრეწველობის მუშაკებმა. ამიტომაც ჩოხატაურელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მახარაძელ მეჩაიეთა პატრიოტულ თაოსნობას „ხარისხისათვის ბრძოლა გრძელდება!“ რომლითაც მოუწოდეს რესპუბლიკის მეჩაიეებს წლევანდელ სეზონში უხვი და მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული აწარმოონ.

— მახარაძელთა მისაბაძ თაოსნობას მხარი აუბეს ჩვენმა მეჩაიეებმა, — თქვა პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ზურაბ ერქომაიშვილმა. — მიუხედავად უამინდობისა, მკლავმოუღლელი გამრჯე მშრომელები საგულდაგულოდ შრომობენ ჩაის პლანტაციებში, საფუძველს უყრიან წლევანდელ ბარაქიან მოსავალს. ჩვენი მეჩაიეებიც დაგვეთანხმებიან, თუ ვიტყვით, რომ შარშანდელი კარგი შედეგების მიუხედავად, ხარისხობრივი მაჩვენებლები მაინც 'ისეთი არ იყო, როგორც ამას თამარ ყუფუნია მოგვიწოდებდა, ასე რომ მასთან მაინც ვალში ვართ. წელს 13.440 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს ჩავაბარებთ ქვეყანას, აქედან პირველი ხარისხის იქნება 72 პროცენტი.

სიტყვის ხალხია ჩოხატაურელი მეჩაიეები, ყველგან იგრძნობა პლანტაციების მოვლა-პატრონობისთვის გაწეული მუყაითი შრომის შედეგი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მკაცრი ზამთრის პირობებში 950 ჰექტარ პლანტაციაში მწკრივთაშორის მიწა დროზე დაბარეს, ფოსფორიანი სასუქები შეტანილია 600 ჰექტარზე, ხოლო კალიუმიანი — 550 ჰექტარზე. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბუჩქების მძიმე და მსუბუქი გასხვლა. ეს სამუშაო შესრულებულია 60 ჰექტარზე.

სოფელ ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — ბ. გოგიბერიძე) მეჩაიეებმა ვადაზე ადრე დაამთავრეს ჩაის პლანტაციების შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები. ახლა ყველა პლანტაციაში მიმდინარეობს ბუჩქების გასხვლა, სარწყავი არხების გაწმენდა. წესრიგში მოჰყავთ საპლანტაციო გზები, თავშესაფარი ფარდულები.

ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების სეზონის ორგანიზებულად დაწყებისათვის კარგად ემზადებიან ჩაისუბნის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — ო. შარაშენიძე) მშრომელები. ჩაისუბნელები პირობას დებენ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგულ წელს ჩაის სარეკორდო მოსავალს მოიწევენ, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდებიან ფოთლის კრეფის სეზონს.

შუა განახლების კოლმეურნეობის მეჩაიეთა შორის პირველობას არავის უთმობს წარჩინებული მეჩაიე, ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი მავლინა ყაჯეიშვილი. მისი რგოლი ყოველწლიურად სარეკორდო მოსავალს იღებს. რგოლის წევრებს გადაწყვეტილი აქვთ ჩაის ფოთლის კრეფის პირველ დღეებში ესტუმრონ ნოვატორ მეჩაიეს თამარ ყუფუნიას, მოისმინონ მისი საყურადღებო კონსულტაცია სამამულო ჩაის ხარისხის მკვეთრად ამაღლების საინტერესო საკითხებზე.

წლევანდელ სეზონში ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის აქედანვე ენერგიულად შრომობენ სოფლების განახლების, ვან-ზომლეთის, ბუკისციხის კოლმეურნეობების, ქვემონბნის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები. რაოდენობაც, ხარისხიც! — ასეთია მათი შრომის დევიზი.

ბ. ჩხაიძე.
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მხარს უჭერენ მახარაძელ მეჩაიეთა თაოსნობას: ხარისხისათვის ბრძოლა გრძელდება!

მახარაძისა და ლანჩხუთის ნედლეულის პირველადი გადამუშავების ორ ახალ ჩაის ფაბრიკაში დაიწყეს მოწყობილობის დამონტაჟება. ისინი მწყობრში ჩადგება ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყების წინ. თითოეული მათგანის სიმძლავრეა ხუთი ათასი ტონა გადამუშავებული ფოთოლი წელიწადში.

ახალი ფაბრიკების მშენებლობა წარმოებს ჩაის პირველადი გადამუშავების სიმძლავრეთა გადიდების ღონისძიებების, აგრეთვე დარგის ტექნიკური ბაზის განვითარების კომპლექსური გეგმის შესაბამისად. ამავე გეგმით გათვალისწინებულია ჩაის ინდუსტრიის თითქმის ასივე საწარმოს რეკონსტრუქცია ან ნაწილობრივი ტექნიკური განახლება. ამ სამუშაოთა მიზანია ნედლეულის გადამუშავების ძირითადი პროცესების — ფოთლის კრეფის, ჭრისა და დახარისხების ტექნოლოგიის სრულყოფა.

რას მოგვცემს სიახლეები?

მწვანე ფოთლის შენახვისათვის ამ სეზონში ფართოდ გამოიყენებენ მემბრანის ფსკიან კონტეინერებს, რომლებიც ანგბადის ატარებენ და ნახმარორანგს გარეთ უშვებენ, რაც ხელს უწყობს ფოთლის ცხოველმოქმედების და ბას „ცოცხლად“ ინახავს ხუთი დღის მანძილზე, სანამ გადასამუშავებლად გაგზავნიან. ყველგან გამოიყენებენ ნედლეულის უტარო ვაგონეტებს.

— ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი მუდამ გამოცდაა, — თქვა „საქინფორმის“ კორესპონდენტთან საუბარში „საქართველოს ჩაის“ სამრეწველო გაერთიანების უფროსმა ე. მალაზონიამ. — გამოცდა, რომლისთვისაც დარგის მშრომელები წინასწარ ემზადებიან ხოლმე. მახარაძელთა თაოსნობის მიხედვით წლევანდელი სეზონის ძირითად ამოცანად მივიჩნევთ პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას. სწორედ ეს არის საწარმოთა ტექნიკური განახლების პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის მიზანი.

მაგალითად, 20 ფაბრიკაში ინერგება ჩაის ფოთლის დაორთქლისა და გაშრობის ხერხი, რაც გაუმჯობესებს მწვანე ბიოხო ჩაის ვიტამინურ თვისებებს. ჩაის ფოთლის გრეხის, ჭრისა და დახარისხების 15 ნაკადურ-მექანიზებული ხაზის დანერგვით დამთავრდება მთელი დარგის ადაყვანა მაღალეფექტურ ტექნიკურ წვრილი ბაიხოო ჩაის გამოშვებაზე, რომელზეც გაზრდილი მოთხოვნაა. აგურა ჩაის გამომუშავების მთლიანად მექანიზებული ხაზი დაიდგმება ჩაქვის ჩაის საწნეხ ფაბრიკაში. ჩაის საწონი ფაბრიკები შეივსება ოცდაოთხი დიდმწარმოებლური ხაზით.

დარგის მშრომელთა მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაა მთელი ნედლეულისა რესურსების კომპლექსური გადამუშავების უზრუნველყოფა. ამ მიზნით შემუშავდა შავი და მწვანე ჩაის წარმოების ახალი ტექნოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს ნაზი, ანუ ნედლეულის ყველაზე ძვირფასი ნაწილის გამოყენება ბიოხო ჩაის გამოშვებისათვის, ხოლო უხეში ნედლეულისა — მშრალი და თხევადი კონცენტრატების მიღებისათვის.

ქართული ჩაის ასორტიმენტი მომდინარე წელს კიდევ ორი სახეობის პროდუქციით შეივსება. ეს გახლავთ ჩაი „მეგობრობა“ და „კოლხეთი“, რომლებიც მაღალი არომატული და საგემოვნო თვისებებით გამოირჩევა.

შაბათობა გვიხმობს

● ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივი აჭარაში პირველი გამოეხმაურა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას — 16 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 113 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა.

მეავეჯეებმა საერთო კრებაზე განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ 16 აპრილს იმუშაონ უდიდესი შრომის ნაყოფიერებით. კომბინატის სამასზე მეტმა მუშამ ვალდებულება იკისრა ამ დღეს შეასრულოს პირადი ოთხი თვის გეგმა, დაამზადოს 30 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

„წითელი შაბათობისათვის“ მზადებაში აქტიურად ჩაება ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივი, რომლის პროდუქციის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა სამრეწველო მტვერსასრუტი — „აჭარა-2“, რომელზეც დიდი მოთხოვნაა. აქ დიდი მოცულობის სამუშაოები სრულდება ახალი საამქროს ასაშენებლად, რომელიც განკუთვნილია მტვერსასრუტებისათვის გოფრირებული მილების გამოსაშვებად. მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა მიმდინარე წელს უზრუნველყოფს სამრეწველო მტვერსასრუტის 2 მილიონ 300 ათასი მილის დამზადებას, რაც შარშანდელთან შედარებით 200 ათასი ცალით მეტია. (საქინფორმი).

● ქარელი (ხაკ. კორ.). 16 აპრილს შაბათობაზე გამოშვებულ პროდუქციას — 130 ათას პირობით ქილა მანდარინს, ყურძნისა და ვაშლის წვენს, კომპოტსა და მურაბას გაუგზავნიან აგარის საკონსერვო ქარხნის მშრომელები ურალისა და ციმბირის სამრეწველო რაიონებს.

თავისუფალი შრომის დღესასწაულზე მეკონსერვეებები 20 ათასი მანეთის პროდუქციას შექმნიან, ხოლო ხუთწლედის ფონდში 600 მანეთს გადარიცხავენ.

● ბოგრი. (ხაკ. კორ.). მოსკოვის მოწინავე შრომითი კოლექტივების პატრიოტულ თაოსნობას ლენინური შაბათობის მოწყობის შესახებ საქმიანად დაუჭერეს მხარი გორის ანალიზური ხელსაწყოების საცდელ ქარხანაში.

საამწყობო საამქროს ბრიგადებმა მოუწოდეს სხვა საამქროებისა და უბნების მშრომელებს წითელი შაბათობა აღნიშნონ უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით.

16 აპრილს თავისუფალი შრომის დღესასწაულზე გამოვა ქარხნის 670 მშრომელი, აქედან თავის სამუშაო ადგილზე იმრომებს 250 კაცი, რომლებიც 5 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციას გამოუშვებენ, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში 700 მანეთს გადარიცხავენ.

მრავალი ადამიანი იმრომებს ქარხნისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, დარგავენ წიწვოვან და ფოთლოვან ნეებს, გათვალისწინებულია აგრეთვე 500 კილოგრამი ჯართის შეგროვება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საკავშირო კონფერენციის წინ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1983 წლის 7-9 აპრილს თბილისში გაიმართება საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგშია საკითხი „პირველადი პარტორგანიზაციების როლის ამაღლება მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში“.

ამ კონფერენციის მომზადება-ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულმა თათბირმა, რომელზეც მოწვეული იყვნენ მთელი რიგი საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელები, მათი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა წარმომადგენლები.

ინფორმაცია კონფერენციისათვის მზადების მიმდინარეობის, მისი რეგლამენტის, სექციური მუშაობის თემატიკის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ჟ. კ. შარტავამ.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. დ. გაბუნია, ჯ. ი. პატიაშვილი ს. ე. ხაბეიშვილი. (საქინფორმი).

პირველადი პარტორგანიზაცია პარტიის საფუძველია

დიდი პატივი — დიდი პასუხისმგებლობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, თბილისში აპრილის დამდეგს გაიმართება საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პირველადი პარტორგანიზაციების როლის ამაღლება მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში“. კონფერენციისათვის მზადების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გამოცდილების პროპაგანდას, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში შეძენილი მუშაობის მთავარ, საკვანძო მიმართულებათა განსაზღვრის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის ამოცანების გადასაწყვეტად პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების ძალისხმევის კონცენტრაციის საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის ამოცანები, ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციის უნარი — ეს არის აგრეთვე უნარი გააზრო იგი, განსაზღვრო შემდგომი სრულყოფის გზები. აი რატომ არის ახლა ესოდენ საჭირო გაეცნოთ, თუ როგორ ემზადებიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები საკავშირო კონფერენციისათვის.

იმ საბაზო ორგანიზაციებს შორის, რომლებსაც კონფერენციის მონაწილენი ეწევიან პარტიული მუშაობის გამოცდილების გაცნობის მიზნით, — არის საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომი, რესპუბლიკის დედაქალაქის ამ დიდი სამრეწველო რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

იმაზე, თუ სახელდობრ რით არის აუცილებელი საქარხნო რაიონელთა გამოცდილება, რით წარდგებიან ისინი პარტიულ მუშაკთა მომავალი ფორუმის მონაწილეებისა და სტუმრების წინაშე, საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით გვესაუბრება პარტიის რაიკომის პირველი მდივანი კ. ვ. კაპანაძე.

— ეს დიდი პატივი და ამასთანავე დიდი პასუხისმგებლობაც არის, — უპასუხინძლო საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებს, — თქვა მან. — მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში პირველადი ორგანიზაციების როლის ამაღლება ხომ ის ამოცანაა, რომელიც ამჟამად ორგანულად უკავშირდება მათი ავტორიტეტის ზრდას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნების წარმატებით განხორციელების საქმეში. არადა, ეს არ გახლავთ იოლი ამოცანა, თუ გავითვალისწინებთ, როდენ ბევრის გაკეთება მოუწევს თითოეულ პარტიულ ორგანიზაციას იმ დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ამ პლენუმსა და მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე.

მაგრამ ჩვენ მზად ვართ სკკპ-ბაასისათვის, ბევრი რამ დაგვიგროვდა გასაზიარებელი და საამობო მეგობრებისათვის მომავალ შეხვედრაზე. ალბათ, ჩვენი სტუმრებისათვის ინტერესმოკლებული სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაკეთობის რიცხვმა 141-ს მიაღწია.

დადებითი ძვრები მოხდა აგროსამრეწველო კომპლექსის საერთო განვითარებაში. სოფლის მშრომელებმა 98 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და თითქმის 60 ათასი ტონა ციტრუსი მოკრიფეს. წარმატებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ყურძნის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

ფართო მასშტაბით ხორცილდებოდა კაპიტალური მშენებლობა. 1982 წელს ათვისებულია 111,4 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, ამოქმედდა 118 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 26,7 პროცენტით აღემატება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დონეს. საექსპლოატაციოდ ჩაბარდა 122 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელი სახლები, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვადასხვა ობიექტი.

ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 60 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულით გამოწვეული დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული განხორციელების საფუძველზე შთამბეჭდავი მიღწევები მოიპოვეს შარშან — საიუბილეო წელს. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1982 წელს საბჭოსო 1980 წელთან შედარებით 11,7 პროცენტით გაიზარდა.

გასულ წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის გეგმა 104,3 პროცენტით შესრულდა. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 24,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. უკანასკნელი წლების მანძილზე სამრეწველო საწარმოებში დიდი ყურადღება ეთმობოდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, რის შედეგადაც სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაკეთობის რიცხვმა 141-ს მიაღწია.

(დასასრული მე-3 გვ.).

ერთიანი მწყობრით — ახალი წარმატებებისაკენ

ვ. კობახია,
აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

✦ ✦

მაგალითად, საკმარისია გავიხსენოთ, რომ უკანასკნელი 40 წლის მანძილზე აფხაზეთში მთელი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 12-ჯერ გაიზარდა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში არნახული მასშტაბით განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის ღონისძიებანი.

პარტიის აგრარული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად განმტკიცდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კაპიტალურ მშენებლობაში მომხდარი ცვლილებები. მარტო მეათე ხუთწლედის მანძილზე აფხაზეთის სახალხო მეურნეობისათვის გამოყოფილი იყო 625 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი. ამოქმედდა 641 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, აშენდა 674 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვადასხვა ობიექტი.

ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 60 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულით გამოწვეული დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული განხორციელების საფუძველზე შთამბეჭდავი მიღწევები მოიპოვეს შარშან — საიუბილეო წელს. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1982 წელს საბჭოსო 1980 წელთან შედარებით 11,7 პროცენტით გაიზარდა.

ვიზიტი დამთავრდა

8 მარტს მოსკოვიდან ბერლინს გაემგზავრა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, მარშალი სამორა მოიზეს მაშელი. იგი სსრ კავშირში მეგობრულ სამუშაო ვიზიტად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

აეროდრომზე სტუმარი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

თანამედროვეობის დიადი მოძღვრება

2 მარტს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სხდომა, რომელიც მიეძღვნა კარლ მარქსის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, საკაცობრიობის განვითარებაზე მისი მოძღვრების გარდამქმნელ გავლენას.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. მარჩუკი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელები.

სხდომა გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ა. პ. ალექსანდროვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კარლ მარქსის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა მეცნიერულად დასაბუთებულ იდეათა წარმოქმნა, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს შემდგომ განვითარებაზე.

მოხსენება „კარლ მარქსი და თანამედროვეობა“ წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა. კაცობრიობის წინაშე კარლ მარქსის მთავარი დამსახურება ის არის, თქვა მომხსენებელმა, რომ მან მეგობართან და თანამებრძოლთან ფრიდრიხ ენგელსთან უახლოესი თანამშრომლობით იდეური საფუძვლები ჩაუყარა სამყაროს რევოლუციურ განახლებას, დამტკიცა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეული გარდაქმნის, ნამდვილად ადამიანურ, სამართლიან კომუნისტურ საწყისებზე მისი გარდაქმნის საჭიროება და რეალური შესაძლებლობა.

სსრ კავშირსა და სხვა ქვეყნებში სოციალისტურმა მშენებლობამ, თქვა მომხსენებელმა, დასაბამი მისცა თვისებრივად ახალ ეტაპს მარქსის მოძღვრების ისტორიულ ბედ-იღბალსა და კაცობრობის სოციალურ პროგრესში. ჩვენი ეპოქისათვის, ახალი საზოგადოების შექმნისათვის ამ მოძღვრების დიადი მნიშვნელობა მკაფიოდ და საფუძვლიანად არის გაშუქებული ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სტატიაში, რომელიც ჟურნალ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა. დიდი სიღრმითა და კონკრეტულობით არის განხილული მასში სოციალისტური მშენებლობის დიდებული შედეგები, მიწიფებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. სტატიაში მეცნიერთა ყურადღება მიპყრობილია იმისადმი, რომ შემდგომ დაამუშაონ თეორიის ფუნდამენტური პრობლემები, რომ საჭიროა დაძლიონ ყოველგვარი კონიუნქტურობა და სქოლასტიკური თეორეტიკოსობა.

რეალური სოციალიზმი, განაცხადა ორატორმა, დღეს ყველაზე დინამიკური სოციალური სისტემაა, რომელიც აღსავსეა სასიცოცხლო ძალებით და რომელსაც შეუძლია განახორციელოს უდიდესი ისტორიული საქმენი. სოციალიზმის ქვეყნების წარმატებანი ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების განვითარებაში, მასების კულტურისა და კეთილდღეობის დონის ამაღლებაში ცხადყოფს ახალი წყობილების უშრეტ შესაძლებლობებს, მის უდავო უპირატესობებს კაპიტალიზმთან შედარებით.

მარქსიზმ-ლენინიზმის გავლენის, რეალური სოციალიზმის ძლევამოსილი განვითარების მეოხებით თანამედროვე ეპოქაში მთავარი იდეები გახდა სოციალისტური ცხოვრების წესის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის გზით თავისუფალი ეროვნული განვითარების, ხალხთა შორის მტკიცე და ურღვევი მშვიდობის საფუძველზე პროვინციის სოციალური თანასწორობისა და ყოველმხრივი განვითარების იდეები.

ამ იდეების დროშით მოწინავე კაცობრიობა უახლოვდება ორი საუკუნის მიჯნას, და უფრო მეტიც — ორი ათასწლეულის ზღვარს. ასე მართლდება მარქსის შესახებ ენგელსის მიერ თქმული ბრძნული სიტყვები: „და სახელი მისი და საქმენი მისი მარადჟამს იცოცხლებს!“.

მოხსენება „მარქსიზმი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“ წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. ა. ოვჩინიკოვმა. მარქსიზმი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მიიჩნევს საზოგადოების ისტორიული განვითარების ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად, თქვა მან. მარქსმა გვიჩვენა, რომ შემეცნება „განვითარების საყოველთაო ისტორიული პროცესის პროდუქტი, აბსტრაქტულად გამოხატული მისი კვინტესენციაა“, და ამავე დროს „რევოლუციური ძალაა ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით“.

უკანასკნელ წლებში პარტიამ წამოაყენა დიდმნიშვნელოვანი დებულება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა შეერთების შესახებ. სკკპ XXVI ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საკითხებს, აღნიშნა, რომ საჭიროა ფუნდამენტური კვლევის უპირატესი განვითარება და დასახა გამოყენებითი ნამუშევრების შედეგიანობის მკვეთრი ამაღლების ამოცანა.

ის ფაქტი, რომ პარტიის ყრილობების გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულია აგრეთვე მეცნიერების კონკრეტულ დარგებში კვლევის ამოცანები, იმას მოწმობს, რომ მეცნიერება ორგანულად ერწყმის კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. ეს მოასწავებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის გამარჯვებას, მოწმობს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა მეცნიერული წინასწარმეტყველების ისტორიულ სისწორეს.

მომხსენებელმა დაახასიათა ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი, ენერგეტიკაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, წარმოების ავტომატიზაციის, გარემოს დაცვის პრობლემათა გადაჭრაში სწავლულთა წინაშე დასახული ამოცანები. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, განაცხადა მან, არნახული პერსპექტივები დაუსახა ადამიანის გონების მიღწევებს ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. მაგრამ გონების გამარჯვებებმა, თუ მათ ბოროტი განზრახვით გამოიყენებენ, შეიძლება კატასტროფა დაატეხოს თავს მსოფლიოს.

მშვიდობისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ სოციალიზმის მთელი ბანაკის, განვითარებადი ქვეყნების მეცნიერები, მას ახმარდნენ და ახმარენ თავიანთ ძალებს დასავლეთის სამყაროს მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები. საკმარისია გავიხსენოთ ჯ. ბერნალი, ფ. ჟოლიო-კიური, ლ. პოლინგი და სხვა მეცნიერები. აქ უნდა აღინიშნოს ნობელის პრემიის ლაურეატის, თვალსაჩინო ინგლისელი მეცნიერის დოროთი ჰოჯკინის დამსახურებაც, რომელიც მოვიდა ჩვენს კრებაზე და რომელსაც გადაეცემა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო— მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი.

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, დარწმუნებული ვართ, თქვა მომხსენებელმა, რომ გონიერება გაიმარჯვებს და პლანეტაზე დამკვიდრდება ახალი საზოგადოება, ყველაზე სამართლიანი და ყველაზე ჰუმანური საზოგადოება ისტორიაში. მასზე ოცნებობდნენ, მისთვის იბრძოდნენ და მისკენ მიმავალ გზებს სახავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი ფუძემდებლები, რომელთა ხსოვნასაც საუკუნოდ შეინახავს კაცობრიობა.

* * *

იმავე დღეს მეცნიერთა სახლში დაიწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრების სესია. 1982 წელს აკადემიის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარმა სწავლულმა მდივანმა, აკადემიკოსმა გ. კ. სკრიაბინმა. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-1443“ და „კოსმოს-1444“

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად, 1983 წლის 2 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1443“.

თანამგზავრის გაშვების მიზანია მისი საბორტო სისტემების, აგრეგატებისა და ელემენტების დახვეწა ფრენის სხვადასხვა რეჟიმით. მათ შორის „სალუტ-7“ სადგურთან ერთობლივი ფრენის დროს.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „კოსმოს-1443“ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

* * *

1983 წლის 2 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1444“.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ 1980–1982 წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების 26 გადაწყვეტილება და რეკომენდაცია, რომლებიც ეხებოდა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების უზრუნველყოფას, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების დონის შემდგომ ამაღლებას და სახალხო მეურნეობის სხვა აქტუალურ საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებისა და მათ მიერ დაყენებული საკითხების დადებითად გადაწყვეტისა და შესრულების მიზნით მიღებულია მთავრობის შესაბამისი დადგენილებანი და განკარგულებანი. მთელი რიგი საკითხები აისახა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლიან გეგმაში.

სათანადო ყურადღება დაეთმო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის რეკომენდაციებს, რომლებიც შეეხებოდა მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას, კოლექტიური მებაღეობის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-შენახვის გაუმჯობესებას, სასოფლო-სანეურნეო ინვენტარის წარმოების გადიდებას და ა. შ. განხორციელდა სათანადო ღონისძიებანი, რომლებმაც გარკვეული დადებითი შედეგები მოიტანა.

იმ კომლთა რიცხვი, რომელთაც არ ჰყავთ ძროხა და წვრილფეხა პირუტყვი 1982 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა შესაბამისად 5.000 და 6.000 ერთეულით. საკვების წარმოების გადიდების მიზნით მოსახლეობას გამოეყო საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. 1982 წლის 9 თვეში 1981 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოების ზრდის ტემპმა მიაღწია 148 პროცენტს. 1982 წელს დამხმარე მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილ იქნა 2,2 მილიონი მანეთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის მიერ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისა და არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების მდგომარეობის განხილვის შემდეგ სამინისტრომ ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის მიზნით განახორციელა 40-ზე მეტი ღონისძიება; დარგში დაინერგა 4 ათას ერთეულზე მეტი ტექნოლოგიური დანადგარი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებას, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვისა და მათი შედეგების დანერგვის სრულყოფას. მარტო 1981 წელს დარგში დაინერგა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული 63 თემა. ამის შედეგად ხარისხნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა მიაღწია საერთო მოცულობის 24,5 პროცენტს, საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონე ამაღლდა 7,5 პროცენტით, ათვისებული იქნა მრავალი ახალი სახეობის პროდუქცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად ტარდება ღონისძიებანი ახალგაზრდა სპეციალისტებზე მოთხოვნილების პროგნოზირების, განაწილებისა და მათი სამუშაოზე დამკვიდრებისათვის. ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი, რაც ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის რეალურ მოთხოვნილებებთან სპეციალისტების მომზადების დაახლოებას, სპეციალისტების სწორ განაწილებას და მათ დამკვიდრებას სამუშაო ადგილზე. თუ 1981 წელს ადგილებზე დამკვიდრდა კურსდამთავრებულთა 85,5 პროცენტი, 1982 წელს ამ მაჩვენებელმა 92 პროცენტი შეადგინა.

მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მიერ დაყენებული საკითხების განხორციელებისათვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფისა და აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ“.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. საექსპლოატაციოდ გადაეცა 4.240 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რის შედეგადაც საბინაო პირობები გაუუმჯობესდა 152.480 ოჯახს, მათ შორის: დიდი სამამულო ომის ინვალიდების 920 ოჯახს, ფრონტზე დაღუპულთა 234-ს, გმირი დედებისა 202-ს, ბარაკებსა და სარდაფებში მცხოვრებ 7.677 ოჯახს და სხვ.

საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესასრულებლად.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში კაპიტალური მშენებლობისა და სამეცნიერო დაწესებულებების აღჭურვისათვის გამოყოფილი თანხების გამოყენების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის ინფორმაციის მიხედვით.

აღინიშნა, რომ ბოლო წლებში რამდენადმე გაუმჯობესდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მართვის სისტემების ინსტიტუტისა და მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიული კორპუსები, სპეციალური საექსპერიმენტო სახელოსნოები, გეოფიზიკის ინსტიტუტის თერმობარაკამერა და სხვ. ისინი სათანადოდ არიან აღჭურვილი საჭირო აპარატურით, დანადგარებითა და მოწყობილობით.

ამასთან ერთად აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებული მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს განახორციელონ ღონისძიებანი მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხების სრული ათვისებისათვის.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანების ყოფილი გენერალური დირექტორის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. ი. ხარებავას მიერ დეპუტატის უფლებამოსილების შემდგომი განხორციელების მიზანშეწონლობის შესახებ, რომელმაც დაუშვა სახელმწიფო ანგარიშგებლობის უხეში დამახინჯებანი, და მიიღო ბრძანებულებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. ი. ხარებავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ და 1983 წლის 27 მარტს ქუთაისის ავტოქარხნის № 257 საარჩევნო ოლქში დანიშნა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები. (საქინფორმი).

ვ ო ა ს ტ ი

ფაქტები მოვლენები საკდესი იუწყება

● კოლონეთი

გამოძიება დამთავრდა

ვარშავა. როგორც პრესა იუწყება, დამთავრდა გამოძიება იმ კონტრრევოლუციური დაჯგუფების ხელმძღვანელთა საქმის გამო, რომელიც დანამაულებრივ აქციებს აწყობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქისა და ვარშავის სავოივოდოს ტერიტორიაზე.

ეს დაჯგუფება, წერს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“, ღრმა იატაკქვეშეთში მოქმედებდა. მის წევრებს ჰქონდათ მეტსახელები და პაროლები, შიფრები და სამძღვავები ინფორმაციის გადასაცემად, აგრეთვე კონსპირაციული ბინები. გამოძიებამ ცხადყო, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, რომ პირწავარდნილი კონტრრევოლუციონერები იზრახავდნენ ეგრეთ წოდებული „პოლონეთის იატაკქვეშა სახელმწიფოს“ შექმნის გეგმებს, ავრცელებდნენ წამქეზებლურსა და პროვოკაციულ მასალებს, რათა დაეძაბათ საზოგადოებში ვითარება, შეექმნათ ფსიქოზისა და შიშის ატმოსფერო. ეს მასალები შეიცავენ ბოროტ მონაჩმახს, რომლებიც უხეშად ამახინჯებენ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და ღონისძიებებს, რომელთაც სახელმწიფო ხელისუფალნი ახორციელებენ პოლონეთში ვითარების ნორმალიზაციისათვის.

იატაკქვეშა დაჯგუფება ამზადებდა ტერორისტულ აქტებს პატრიოტთა წინააღმდეგ და მათს ფიზიკურ მოსპობასაც კი აპირებდა. გამოძიების დროს, აღნიშნავს „ტრიბუნა ლუდუ“, დადგინდა, რომ მიმდინარეობდა აგრეთვე მზადება ასეთივე აქციებისათვის, რასაც მოწმობს ქიმიკატებისა და ფეთქებადი ნივთიერებების დიდი მარაგი, აგრეთვე იმ პირთა გატაცების გეგმები, რომლებსაც თვალსაჩინო პოსტები უკავიათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ტერორისტები დასავლელ ჟურნალისტებს არ უმალავდნენ თავიანთ გეგმებსა და მეთოდებს. ეს გეგმები მათ ინტერვიუში გაანდეს ერთ-ერთ იტალიურ ჟურნალს.

„ტრიბუნა ლუდუ“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როგორც ამ კონტრრევოლუციური დაჯგუფების საქმის გამო მიღებული საბრალდებო აქტი მოწმობს, მისი მონაწილენი არასოდეს არ ყოფილან დაკავშირებულნი მშრომელებთან, ისინი ძირგამომფხვრელ საქმიანობას ეწოდნენ.

კონტრრევოლუციონერები სასამართლოს წინაშე წარსდგებიან

ვარშავა. „ტრიბუნა ლუდუ“, ეროვნული სოციალისტური ფრონტის ბანაკიდან, ადასტურებს, ამ ორ ბანაკს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხზე, ანუ ეროვნული ინტერესების დაცვის საკითხზე, ერთნაირი, ერთგვაროვანი, ერთიანი პოზიცია ეჭირ ბოლო ოცი წლის განმავლობაში. ეს ბანაკი, ეროვნული ფრონტი, ეროვნული ინტერესების ერთადერთ ერთგულ, ერთადერთ ერთგულ, ერთადერთ ერთგულ,

ერთიანი მწყობრით—ახალი წარმატებებისაკენ

(დასასრული)

გაგრატ შინკუბა,

აფხაზეთის ასსრ სახალხო პოეტი

ზარშანდელი, 1982 წელი, ჩემთვის განსაკუთრებით „მოსავლიანი“ იყო. დავამთავრე ახალი რომანი „გაკვეთილი ქვა“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ალაშარაში“. შარშანდელ მოსკოვში გამოვიდა ჩემი რჩეული ნაწარმოებების ორტომეული.

ვმუშაობ ახალ ლექსებზე.

თავის დროზე, ომის შემდგომ წლებში ვსწავლობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მისი დამთავრების შემდეგ დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. დავბრუნდი ისევ სოხუმში და ვმუშაობდი აფხაზეთის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში მუცნიერ მუშაკად, პარალელურად რამდენიმე წელი განუწყვეტლივ ვიწერდი აფხაზი ხალხის ფოლკლორს. დავდიოდი სოფლებში, შესაძლებლობა მქონდა შევხვედროდი ყველაზე განთქმულ ხალხურ მთქმელებს, დღეგრძელ ადამიანებს, ვიწერდი მათს საინტერესო ნაამბობს. ასე რომ ერთი დიდი არქივი დამიგროვდა, რომელიც ახლანდგავსებული და შევუდექი მის დამუშავებას. ვფიქრობ გამოქვეყნებას ერთ ტომად, რომელსაც სამი განყოფილება ექნება: პირველი — ენის საკითხები, მეორე განყოფილებაში შევა სამეცნიერო-ლიტერატურული ხასიათის სტატიები, მოხსენებები და გამოსვლები ლიტერატურის საკითხებზე, მესამე განყოფილება კი დაეთმობა ფოლკლორულ მასალებს, ჩემს ჩანაწერებს ზეპირ ხალხურ შემოქმედებაზე, რა თქმა უნდა, ჩემივე წინასიტყვაობით.



შემოქმედის ხუთწლედი

დავამთავრე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის თარგმნა აფხაზურ ენაზე, რომელსაც წელსვე მოვამზადებ დასაბეჭდად.

ჩემი სოფელი ჭლოუ

შენი ცისნამი თუ დამეკურა,
იმ ერთ წვეთს თავზე შემოვეცლები.
ეშინობ, ნიავმა შენს უნებურად
რომ არ მომნყვიტოს იგი ცრემლებად!

შენს სასთუმალზე, მაღლა ფანაკზე
ავალ ამ ქვეყნის გადასახედად,
ვვამბორები შენს სილამაზეს
და ყრმობის ჩემის გამოცხადებას.

მთვლიდი რჩეულად, მანებივრებდი
და ქვეყნად ბევრის გაეხდი მნახველი,
მე შორს ვიარე შენი იმედით
და სითბოდ მექცა შენი სახელი.

ადრე დამდნარა თოვლი ლტოლვილი
და ფეხს იკიდებს მწვანე ხავერდი,
რომ დავმდნარიყავ სადმე თოვლივით
არ იკითხავდი, თუ სად წავედი?

მე ვარ ბალახშიც, მინდვრის ყვავილშიც
შენი გზისპირის ბუჩქის ღიმილში,
შენი ნიალვრის ულვთო ბღავილში,
ხნულში, ბელტებთან მარცელის ჭიდილშიც.

ბინდისყამს შენი თბილი კერიის
მეზეევა კვამლის ლურჯი ფთილები,
ჩემი ხმა ისმის, ხმაადერილი
ჰანგში ჩვენებურ ქალიშვილების.

კვირტით დახუნძლულ ხის კენწეროებს
ახსოვთ სურნელი ჩემი წარსულის,
ჯერ არ დამდგარა, გწამდეს, გჯეროდეს
ყამი დუმილის და აღსარულის.

შენი მზის შუქში თუ არ ვიქნები,
მთვარის ნათელით მაინც ამავსე,
რადგან შენთან ვარ ჩემი ფიქრებით,
შენით ვსულდგმულობ ამ ქვეყანაზე.

ლექსს ვერ კლავს ტყვია

ვერ დავიჯერებ,
აღარ არის პაბლო ნერუდა,
დღე — დღევანდელი
მწუხარებით გაუფერულდა.

თითქოს ერთმანეთს
გუშინ შევხვდით ასე მგონია.
და დღემდე მისი
ხელის სითბო გამომყოლია.

კვლავ თვალწინ მიდგას,
ვინც სიცოცხლეს, მზეს უმღეროდა,
მარად მქუხარე,
მომღიმარი პაბლო ნერუდა!

იდგა მაისი.
მზე იწოდა ზეცის თავანზე,
გაბრწყინვებული
შესცქეროდა ამ სილამაზეს.

როცა ეშერას
მწვანე თხემზე იდგა ოცნებით,
გულს უხარებდა
საოცარი სტვენა ფრთოსნების.

ჩვენ ჩავცქეროდით
რინის სარკეს, სარკეს — კრიალას
და უძველესმა
თქმულებებმა აგვაბრიალა.

თოვლიან ქედებს,
ნაკადულებს — გადახლართულებს,
ერთ დიდ სიმღერად
მიიჩნევდა ფიქრით გართული.

რინასთან, როცა
შესცქეროდა ცას მღელვარებით,
ეხატებოდნენ
მშობლიური მთის მწვერვალები.

მართლაც კეთილი
ფიქრით იყო მაშინ გამთბარი,
ამბობდა:
— ძმაო, ეს ქვეყანა არის ზღაპარი!

— ხშირად გეწვევით, —
მპირდებოდა თვალანთებული, —
საგაზაფხულო
სიმღერებით სავსე კრებულით!

დუმს ჩილეს ჩანგი.
ჩილეს მთები ძაძამ დაეფარა,
ჩილეს უნდოდა
რომ ექუხა დღეს მის ნაღარას.

მამულს სჭიროდა
და ხალხს მისი სიტყვის სჯეროდა,
ჭირსა და ლხინში
ხალხთან იყო პაბლო ნერუდა...

ტყვიას ესვრიან,
მის დიდებას ტყვიას ესვრიან!
უნდა დახვრიტონ
ხალხის სიტყვა და პოეზია!

გაუცრუვდებათ
იმედები ხალხის ჯალათებს —
სიმართლის დროშა
მალე ჩილეს გადაანათებს.

პოეტის სიტყვას,
ვერვინ დახვრეტს, ლექსს ვერ ჰკლავს ტყვია,
ვერ მოჰკლავს, რასაც
უკვდავების სიმღერა ჰქვია.

ულათუოდ ვიტყვი, მჯერა...

ჩემს საყვარელ ლექსთა შორის
უკეთესი ჯერ არ მითქვამს.
ეცოცხლობ მხოლოდ მოლოდინით,
ალბათ ვიტყვი ძლიერ სიტყვას.
მაგრამ როდის მოფრინდება
რომ სიცოცხლე გამიახლოს.
იქნებ იგი დაიბადოს
შვილიშვილის აკვნის ახლოს.
ან იქნება განთიადმა
სიხარულის შუქი მტყორცნოს,
როცა ბალი გაიღვიძეს,
ბაბარჯვება მომილოცოს!
საჭიროა? — ლაშქრად ნავალ,
გადავლახავ კლდეს და ქარაფს.
მრავალ აღმართს გადავიარ,
უფსკრულების შიში არ მაქვს.
მზეს მნველ სხივებს გამოვსტაცებ,
სიმარდეში გაწაფული,
მხურვალე გულს დამიამებს
ჭაღარა მთის ნაკადული.
დაბლა ჩავალ, გამექცევა
უსასრულო ველზე მზერა,
სადაც ზღვისებრ აქორრილი
ოქროსფერი ყანა ღელავს.
თვალს შევავლებ გამღვალ ფოლადს,
მოლვარეს, მოლიელივეს.
დავინახავ შუა ზღვაში
ცისფერ ხომალდს მოტივტივეს.
მზით გადამწვარ და დამაშრეულ
უდაბნოთა ქარი დამწვავს.
მწყურვალ მინას გადავხედავ
ცხელს და ფხვიერს, როგორც ნაცარს,
ვნახავ უკვე ბალად ქცეულს
და ნოხივით ჭრელს და ლამაზს.
მგალობელთა გუნდი მოვა
ამ სიტურფის სანახავად.
სადაც მივალ, ალალ ძმასთან
სტუმრად სადაც შევჩერდები,
ყველა მლოცავს:
„სასიკეთო მოგელიან ძმაო, გზები“.
და ვინ იცის, ეგებ მართლა
ის სიმღერაც გაჩნდეს ბედად,
ბავშვთა ხმები შემომესმა,
შუაგზაზე შემეფეთა.
და იმ ხმებში ვცნობ იმ ბგერებს,
რასაც ახლა ამბობს ბავშვი,
წინ, შემხვდება უსათუოდ,
უახლოეს მომავალში.
როგორც მკურნალს — მკურნალების
მცნობენ ყველგან, მთად და ბარად.
განთიადის სიმღერას ვქმნი
ჩემი ქვეყნის გასახარად.
და ჩემი გზა კაცის გულთან
შეუკრთომლად მიდის ისევ,
სადაც ელავს ჩაუქრობი
ცეცხლის ალი მოგიზგიზე.
გულის ძალა ძლიერია —
გამოწრთობილ რვალზე მეტად.
ამ ძალაში უბერებელ,
მარადიულ სინდისს ვხედავ.
ყველა გული გულს ხომ არ ჰგავს,
მრავალგვარად მკრდში გვიცემს,
თუ არ იცის შენყალება,
შეიძლება ლოდად იქცეს.
შესაძლოა მალულ შურით
ანდა შხამით იყოს სავსე,
ანდა თავის თავისათვის
ძგერდეს მხოლოდ უცხო ხმაზე.
შესაძლოა სუსტი იყოს
გადაღლილი იყოს გული,
ან დაჭრილი იყოს მნვავედ,
ანდა დარდით გათანგული.
ჯერ უთქმელი ჩემი ლექსი
და მომავლის ღაღადისი
მრავალძარღვა იქნებ გახდეს
და მკურნალი გახდეს მისი.
ვმღერი ქვეყნად, საუკუნოდ
ვერაფერი დამადუმებს.
მებრძოლი ვარ და წინ ვუძღვი
ჯერ მოუსვლელ გზაფხულებს.
კვლავ სიმღერა! კვლავ სიმღერა!
ახალ-ახალ ჰანგებს ვეძებ —
და მივდივარ დაუღლელი
მშობლიური მიწის გზებზე.
მაგრამ რა ვქნა, ვერ დავმალავ,
ეს ამბავი კარგად მესმის:
ჯერ არ მითქვამს ერთი ლექსიც
ყველა ლექსზე უკეთესი!
მაგრამ ვიცი, უეჭველად,
საკუთარი თავის მჯერა,
ვიტყვი, ვიტყვი მომავალში
ყველაზე კარგ ჩემს სიმღერას.

სამახაროვლო

ჭიშკართან მითხრეს სამახარობლო,
შუბლზე ნათელი გადამფინა:
— ღმერთო, დალოცე მისი ქალობა,
რძალმა ჩვენს ოჯახს ვაჟი შესძინა!

ვაშლის ხის რტოებს გადაჩითულებს
ნავუღებ ძღვნად და გასახარებლად,
სიმღერით სავსე ეს რტო ჩიტუნებს
ჰქონდათ სახტომად და საქანელად.

მივდივარ ბალღის საალერსებლად.
ჩვილი ყრმის ბედის ვარ დამლოცველი,
მივდივარ, უბე ჰანგით შევსება
და იავ-ნანას ვმღერი ოცნებით.

ვაჟის შეძენას თოფის გრიალით
მამები მუდამ ლხენით ხვდებიან,
ამ ადათ-ნესის ვარ მოტრფიალე
და მე კი ვეღარ გამიბედია.

ბალღო! მზე მინდა შენთვის ბრწყინავდეს,
შორს შენგან მწველი სევდა-ნუხილი,
ჯარისკაცი ვარ, ვიცავ სინათლეს,
რომ აგაცილო ჭექა-ქუხილი.

პატარა მდინარეების სიმღერა

იჩქარის ყველა მდინარე
დიდ ზღვასთან ადრე მივიდეს.
ყველა მათგანი მძვინვარებს,
ჰეროეჯს ვიწროებს და ბილიკებს.

დღედაღამ ტალღებს ქაფიანს
აბრიალებენ ალივით
და მხეცის ხმაზე მძაფრია
ხევებში მათი ბღავილი.

— სიკვდილს რად ეწაფებიან
თქვენი ტალღები დგანდგარით?
ჩაგყლაპავთ ყველას ერთიან,
გშთანთქავთ ზღვა გაუმაღარი!

— არასდროს დავიღუპებით,
ვიდრე ჭაღარა მთებია,
ვიდრე საავდრო ღრუბლები
ზღვის თავზე იკრიბებიან.

ვიდრე ვიქცევით ღრუბლებად,
ნვიმის უთვალავ ძაფებად...
ყველა არსება უკლებლად
ჩვენს ცივ წყალს დაეწაფება.

მხოლოდ ერთსა გთხოვთ, მუდარით,
ესმოდეს ქვეყნიერებას,
სისხლი და ცრემლი მდუღარი
ნურასდროს ნუ შეგვერევა!

თარგმნა **რევაზ მარგიანმა.**

აფხაზეთი

გვაბეჭდინებენ „კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

სიმღერით მორეულ მხარეში

თაბისი არსებობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტების შემდეგ აფხაზეთის ხალხური ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ემზადება საზღვარგარეთ გასტროლებისათვის — ამჯერად იმოგზაურებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.

— საგასტროლო მოგზაურობის საკონცერტო პროგრამაში შეტანილია ძველი ხალხური სიმღერები და ცეკვები, საბჭოთა ავტორების ნაწარმოებები, რომლებიც უმღერიან ხალხთა მეგობრობასა და ძმობას, — თქვა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტმა ვ. ცარგუშმა. — აფხაზურ ხალხურ სიმღერებთან და აფხაზეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებებთან ერთად ღღერს ქართული „არხალალო“, „ოდოია“, რუსული „კალინკა“, უკრაინული „ოი, დუბა, დუბა“ და სხვები.

გვაქვს ახალი ნომრებიც. გუნდი ასრულებს მუსაჯირთა ძველებურ აფხაზურ ხალხურ სიმღერას, ძველებური მელოდიის ფონზე სრულდება ნადღებით ცეკვა, რომელიც დადგა ჩვენმა მთავარმა ბალეტმაისტერმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა კ. თარბამ, აგრეთვე ვოკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია ნართების გმირული ეპოსის თემაზე.

როცა აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლისათვის რეზერვის მომზადების საკითხი დადგა, ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში გადაწყვიტეს ანსამბლთან შეექმნათ ბავშვთა ქორეოგრაფიული ჯგუფი.

ანსამბლს ქორეოგრაფი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. კვარჩია და მისი კოლეგები საგულდაგულოდ არჩევდნენ ნიჭიერ შემსრულებლებს სოხუმის ბევრ სკოლაში. დაახლოებით ორმოცდაათი გოგონა და ბიჭი ამოარჩიეს, რომელთა სპეციალური მომზადება დაავალეს ანსამბლის ვეტერანს, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, ქორეოგრაფ ი. ჩახავას.

ნორჩი მოცეკვავეები გატაცებით მეცადინეობენ. მათ შორის ბევრია ნიჭიერი შემსრულებელი — ადგურ ხარზალია, ასტანდა ხარაზია, რუსლან ცარღუში, ილონა თარბა, კახა კვირკველია, კოტე ჭანია, ასლან ადლეიბა და სხვები, ხოლო დები ინგა და ირმა ბასარიები უკვე გადაიყვანეს ქორეოგრაფიული ჯგუფის ძირითად შემადგენლობაში.

პოეტის ხსოვნას მიეძღვნა

ტრადიციად იქცა აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას დაბადების დღის აღნიშვნა. აფხაზეთის მწერლებს, ხელოვნების მოღვაწეებს, კულტურის მუშაკებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს ყოველწლიურად 21 თებერვალს მოაქვთ ყვავილები დ. გულიას ძეგლთან, რის შემდეგაც ზემი გრძელდება პოეტის სახლ-მუზეუმში. ასე იყო ამჯერადაც. დ. გულიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გახსნა აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მ. ლასურიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მწერლის დაბადების დღე იქცა ლიტერატურულ დღესასწაულად, რომელზეც ერთგვარად ჯამდება ხოლმე მღწეული და ისახება სამერმისო გეგმებიც. სახლ-მუზეუმის დირექტორი ტ. გულია დამსწრეთ ესაუბრა იმ მრავალფეროვან ღონისძიებებზე, რომლებსაც მუზეუმის თანამშრომლები აწყობენ აფხაზური კულტურის პატრიარქის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მუზეუმის თანამშრომელმა ნ. შეჯაევამ დამსწრეთ გააცნო დ. გულიას ცხოვრების ამსახველი სანიტერესო მასალები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში მოიპოვა მუზეუმმა.

პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ბღაჟბამ, პოეტებმა კ. ლომიამ და შ. აკობიამ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ფაჩულიამ, აფხაზური მწერლობის ფუძემდებლის შემოქმედების ნიმუშების უკრაინულ ენაზე მთარგმნელმა ე. იშჩენკომ და სხვებმა.

დ. გულიას ხსოვნისადმი მიძღვნილ შეხვედრებში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კობახია, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ქეცბაია და სხვა ხელმძღვანელი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ნახევარი საუკუნე საბრძოლო პოსტზე

მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და მობილიზაციის საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის პირველი ნომრის გამოშვების 50 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „ავანგარდი“ დაჯილდოვდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გაგრის ტერიტორიული საკურორტო საბჭოს კულტურის სახლში გაიმართა იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

— ეს მარტო ჟურნალისტების კი არა, ქალაქის ყველა მკითხველის, საზოგადოებრივი კორესპონდენტის, მცხოვრების დღესასწაულიც არის,—თქვა პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. კაპბამ.

50 წლის მანძილზე გამოშვებულია გაზეთის 5560 ნომერი. თუ დასაწყისში „ავანგარდის“ ტირაჟი შეადგენდა 1.500 ეგზემპლარს, იგი ახლა 8000-ს აღემატება.

მთელი ამ წლის მანძილზე გაზეთი იყო და კვლავ არის პარტიული ორგანიზაციების მებრძოლი თანამშემწე, სოფლისა და ქალაქის მშრომელთა, მისი მრავალრიცხოვანი სტუმრი ისერგული მეგობარი. მარტო შარშან რედაქციამ მიიღო 372 წერილი, რომელთაგან ნახევარზე მეტი გამოქვეყნდა.

რედაქციის აქტიური თანაშემწეა 130-ზე მეტი საზოგადოებრივი კორესპონდენტი.

კურორტი ბიჭვინთა
ტურისტული მარშრუტით

ი. ბოხოლელიძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და ბ. სოკოლოვის ფოტო.

„რიწისა“ და „ალაშარას“ ახალი ნომრები

ახლახან მკითხველმა მიიღო საქართველოს მწერალთა კავშირისა და აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტერატურული ალმანახის „რიწის“ მორიგი ნომერი.

ალმანახის პოეზიისა და პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია პოეტების გ. კალანდიას, ტ. ჭანტურიას, მ. მირნელის, ხ. გაგუას, ჯ. ფხოველის, ო. მიქაძის, რ. ჩილაჩავას, დ. ცაავას, ა. ჯინჯოლიას ლექსები; ლ. ალიმონაკის პოემა „ალსარება საბასი“, ვლ. ჯოლოგუას ახალი მოთხრობა „მოხეტიალე მარტორობა“, ა. გასვიანის ნოველა „გოგა“, მ. ალექსიძის მოთხრობები „ყველაზე მშვიდი ალსარება“ და „ზიარება ლოცვის გარეშე“.

რუბრიკით „ასფურცელა“ წარმოდგენილია ბ. ჭოხონელიძის ორი კინოზღაპარი „ერთხელ“ და „გედი“.

განყოფილებაში „პოეტის არქივიდან“ დაბეჭდილია დ. გიგიბერიას და ი. გურგულიას ლექსები.

„ახალი თარგმანების“ განყოფილება მკითხველს სთავაზობს აფხაზურიდან და რუსულიდან თარგმნილ ნაწარმოებებს — გ. გუბალიას ლექსს (თარგმნა გ. ბერაიამ), ალ. ჯენიას მოთხრობას (თარგმნა ა. გვარამიამ), ს. ლაკობას ლექსს (თარგმნა გ. ოდიშარიამ) და სხვ.

• • •

გამოვიდა აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის ორგანოს — ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ალაშარას“ მიმდინარე წლის მორიგი ნომერი, რომელიც ტრადიციულად ეძღვნება ახალგაზრდა მწერლებს.

ჟურნალი იხსნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის სტატიით, რომელიც წარმოთქვა 1982 წლის 31 დეკემბერს რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან შეხვედრაზე.

პოეზიის განყოფილება წარმოდგენილია რ. სმირის, ე. ადლეიბას, დ. ზანთარიას, ნ. ხვარწკიას, ე. აჟიბას, ლ. ტვანბას, გ. საქანოს, ლ. ინაფშბას, გ. კვიწინიას, რ. ჭედიას და სხვათა ლექსებით.

ჟურნალში ვეცნობით ახალგაზრდა პროზაიკოსების ა. ლაგვილავას, ზ. ბარათელიას, ვ. ძარიას, ვ. ჭოლარიას მოთხრობებს და ე. ბებიას ნარკვევს.

„თანამედროვე ადამიანის მუსიკალური აღზრდის საკითხები“ ასე ეწოდება ა. ოტირბას სტატიას, რომელიც დაბეჭდილია რუბრიკით „ხელოვნება“. მეცნიერების განყოფილებაში გამოქვეყნებულია ო. ძიძარიას ნაშრომი აფხაზთა საზღვაოსნო ლექსიკაზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების მე-16, მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) და წევრ-კორესპონდენტების ასარჩევად შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

სპეციალობა	ნამდვილ წევრთა ვაკანსიები	წევრ-კორესპონდენტთა ვაკანსიები
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება		
მათემატიკა	1	1
ფიზიკა	1	1
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება		
გეოლოგია	—	1
გეოფიზიკა	—	1
გეოგრაფია	—	1
გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება		
მართვის სისტემები	1	1
საშენებლო მექანიკა	1	—
სამთო მეცნიერებანი	—	1
ხელსაწყოთმშენებლობა	—	1
მანქანათა დინამიკა, სიმტკიცე	—	1
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება		
ქიმიური ფიზიკა	—	1
არაორგანული ქიმია	—	1
ტექნიკური ელექტროქიმია	—	1
ბიოლოგიის განყოფილება		
მცენარეთა ფიზიოლოგია	1	—
განვითარების ბიოლოგია	—	1
ბიოორგანული ქიმია	—	1
ბიოტექნოლოგია	—	1
ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება		
ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია	1	—
ვირუსოლოგია	—	1
ციტოლოგია	—	1
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება		
სკკპ ისტორია და მეცნიერული კომუნიზმის თეორია	1	—
ფილოსოფია	—	1
საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია	—	1
საქართველოს შუა საუკუნეების ისტორია	—	1
არქეოლოგია	1	2
კავკასიის ეთნოგრაფია	—	1
ენისა და ლიტერატურის განყოფილება		
ლიტერატურათმცოდნეობა	1	—
ლიტერატურათმცოდნეობა (რუსთველოლოგია)	—	1

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდების მე-14 და მე-15 მუხლების შესაბამისად აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) შეიძლება არჩეულ იქნენ მეცნიერები, რომლებმაც მეცნიერების შესაძინეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის შრომები, ხოლო წევრ-კორესპონდენტებად — მეცნიერები, რომლებმაც მეცნიერებას შესძინეს დიდმნიშვნელოვანი შრომები.

მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსებსა და წევრ-კორესპონდენტებს, სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება აქვთ წამოაყენონ საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობისა და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები ცნობაში აღნიშნულ სპეციალობათა მიხედვით. სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კანდიდატების წამოყენების მერვედ შემთხვევაში წამოყენება ხდება სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების, კოლეგიების ან პრეზიდიუმების სხდომების სხდომებზე ფარული კენჭისყრით ხმების უმრავლესობით.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა სახელები სათანადო დასაბუთებით წერილობით ეცნობება საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ერთი თვის განმავლობაში ცნობის გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებად და წევრ-კორესპონდენტებად დასახელებული და რეგისტრაციაში გატარებული კანდიდატების სია ქვეყნდება პრესაში სულ მცირე 15 დღით ადრე არჩევნებამდე.

მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატების წამოყენებისას აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (სამ ცალად, მათ შორის ერთი რუსულ ენაზე): საბჭოს, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგენა (გადაწყვეტილება) ან წერილი სათანადო დასაბუთებით კანდიდატის დასახელების შესახებ, კანდიდატის ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, სამეცნიერო შრომების სია (ფორმა № 3), შრომების მეცნიერული შეფასება, კანდიდატის საწარმოო-საზოგადოებრივი საქმიანობის დახასიათება და ფოტოსურათი 4,5X6 სმ ზომისა.

აღნიშნული მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: 380008 თბილისი 8, რუსთაველის პროსპექტი 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

ე. ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
ე. სეხნიაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, მოვალეობის შემსრულებელი.

ᲧᲐᲠᲐᲒᲘ

ფეხბურთის ამბები

გუშინ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გაიმართა ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

ქუთაისის „ტორპედომ“ ვოლგოგრადის „როტორი“ სამტრედიაში მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ გადაუღებლად წვიმდა, მატჩი საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. მე-7 წუთზე ვოლგოგრადელმა ვანინმა 11-მეტრიანი ჯარიმა ზუსტად შეასრულა და ანგარიში გახსნა. ერთ წუთში კი ბელიძემ თავური დარტყმით წონასწორობა აღადგინა. კიდევ ექვსი წუთი და ჩუქინმა ანგარიში გაზარდა. 24-ე წუთზე მეგრელიძემ შეძლო კარის აღება, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. 36-ე წუთზე უკვე „როტორის“ კარში დაინიშნა პენალტი და... დარჯანიას დატყმა მეკარემ მოიგერია. ტაიმის დასასრულს კვერნაძემ ითამაშა მარჯვედ და ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 2:2. შესვენებამდე ქუთაისელთა კარის მიმართულებით დაახლოებით 8 მეტრიდან ძლიერად დაარტყა რეზნიკმა. ამ მომენტში საუცხოოდ ითამაშა გაბელიამ და კარი იხსნა.

მეორე ტაიმში შეუპოვარ ორმხრივ იერიშებს გოლი არ მოჰყოლია. დაინიშნა დამატებითი დრო და თამაშის ამ ეტაპის მე-5 წუთზე კვერნაძემ „ტორპედო“ დაწინაურა — 3:2. ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა. ამრიგად, „ტორპედომ“ ღირსეულად გაართვა თავი ამოცანას და მეოთხედფინალში თამაშის საგზური მოიპოვა.

ქუთაისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია, კოსტავა, ხიზანიშვილი, თავაძე, კურტანიძე, ბურკაძე (ძალამიძე), ჯორჯალიძე (ბარაქაძე), ბელიძე, მეგრელაძე, დარჯანია და ა. კვერნაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ **ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ**

ᲒᲣᲨᲘᲜ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გაიმართა ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ტორპედომ“ ვოლგოგრადის „როტორი“ სამტრედიაში მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ გადაუღებლად წვიმდა, მატჩი საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. მე-7 წუთზე ვოლგოგრადელმა ვანინმა 11-მეტრიანი ჯარიმა ზუსტად შეასრულა და ანგარიში გახსნა. ერთ წუთში კი ბელიძემ თავური დარტყმით წონასწორობა აღადგინა. კიდევ ექვსი წუთი და ჩუქინმა ანგარიში გაზარდა. 24-ე წუთზე მეგრელიძემ შეძლო კარის აღება, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. 36-ე წუთზე უკვე „როტორის“ კარში დაინიშნა პენალტი და... დარჯანიას დატყმა მეკარემ მოიგერია. ტაიმის დასასრულს კვერნაძემ ითამაშა მარჯვედ და ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 2:2. შესვენებამდე ქუთაისელთა კარის მიმართულებით დაახლოებით 8 მეტრიდან ძლიერად დაარტყა რეზნიკმა. ამ მომენტში საუცხოოდ ითამაშა გაბელიამ და კარი იხსნა.

მეორე ტაიმში შეუპოვარ ორმხრივ იერიშებს გოლი არ მოჰყოლია. დაინიშნა დამატებითი დრო და თამაშის ამ ეტაპის მე-5 წუთზე კვერნაძემ „ტორპედო“ დაწინაურა — 3:2. ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა. ამრიგად, „ტორპედომ“ ღირსეულად გაართვა თავი ამოცანას და მეოთხედფინალში თამაშის საგზური მოიპოვა.

ქუთაისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია, კოსტავა, ხიზანიშვილი, თავაძე, კურტანიძე, ბურკაძე (ძალამიძე), ჯორჯალიძე (ბარაქაძე), ბელიძე, მეგრელაძე, დარჯანია და ა. კვერნაძე.

სატურნირო ორბიტა

ᲑᲐᲥᲠᲐᲯᲘ. ტალინში გრძელდება პაულ კერესის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება. შვიდი ტურის შემდეგ 5 ქულით ლიდერობს ვაჭანიანი. ფსაბისს, ტალს და იანსას (ჩეხოსლოვაკია) 4,5-4,5 ქულა აქვთ, კიარნერს და პეტროსიანს — 3,5-3,5 (თითო გადადებული), აბრამოვიჩს (იუგოსლავია), ბიონშს (გდრ) და ოლს — 3,5-3,5, ელვესტს — 3 (1), სეკელის (უნგრეთი) — 3 ქულა.

ᲬᲘᲐᲚᲑᲔᲠᲗᲘ. მოსკოვში დაიწყო უმაღლესი ლიგის გუნდების (საუკეთესო ექვსეული) საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მატჩები. გთავაზობთ შეჯიბრების პირველი დღის შედეგებს: მოსკოვის უნივერსიტეტი-ალმა-ათის „დინამო“—6:6, მოსკოვის „მოსკვიჩი“-მოსკოვის „დინამო“ — 4:11, თბილისის „დინამო“-სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი — 11:14.

ᲯᲐᲚᲑᲘᲡᲬᲐᲠᲗᲘ. ოდესაში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაზე 56 კილოგრამამდე წონის ათლეტთა შორის გაიმარჯვა ერევნელმა ო. მირზოიანმა. მან ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ორჭიდში — 282,5 კგ, აკვარაში — 159 კგ (დამატებით ცდაზე). საკავშირო რეკორდით (250 კგ, ორჭიდში) დაამთავრა შეჯიბრება ზაპოროჟიელმა ბ. რიეიკმა (52 კგ-მდე წონა). 60 კილოგრამამდე წონითა კატეგორიაში პირველობა მოიპოვა ერევნელმა ი. სარქისიანმა. ორჭიდში მისი შედეგია 297,5 კგ.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

ᲔᲠᲗ საღამოს ორი ავტომობილი გაიტაცა გიორგი გოგრიჭიანმა. პირველი მანქანა მან დაამსხვრია, მეორეზე კი სულ რამდენიმე ასეული მეტრის გავლა მოასწრო. იგი დააკავეს რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებმა.

ახლა რუსთავის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფოტოატელიეს ყოფილ ლაბორანტს, 22 წლის გ. გოგრიჭიანს მეორედ ეძლევა შესაძლებლობა შრომა-განსწორების დაწესებულებაში სერიოზულად დაუფიქრდეს იმ შედეგებს, რომლებიც მოსდევს კანონის დარღვევას.

ასეთივე დანაშაულისათვის პასუხს აგებს გ. გოგრიჭიანის თანატოლი — დროებით უმუშევარი ნოდარ ტაბატაძეც. ისიც მაშინ დააკავეს, როცა გატაცებული ეიგულით დასეირნობდა.

უკანასკნელი კვირის მანძილზე რუსთავში დააკავეს ავტომობილების რამდენიმე გამტაცებელი. ავტომანქანების ხშირი გატაცება იმასთან ხომ არ არის დაკავშირებული, რომ ქალაქში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამგვარ დანაშაულობათა პროფილაქტიკას? (საქინფორმი)

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ — ᲮᲐᲚᲮᲡ

ეტლები თოჯინებისათვის

ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲔᲑᲘᲡ დახლებზე გამოჩნდა ახალი სათამაშო — ეტლები თოჯინებისათვის. წელს მათი გამოშვება დაიწყო ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის ქარხანამ. ბავშვების გასახარად ყოველდღიურად საწარმო გამოუშვებს 400-ზე მეტ ეტლს. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ბათუმელი მანქანათმშენებლები დაიწყებენ კიდევ ერთი სახლის — თერმოსების სერიულ გამოშვებას.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლ. გიგინეიშვილი

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1921 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერი ლევან ელიზბარის ძე **გიგინეიშვილი.**

ლ. ე. გიგინეიშვილი დაიბადა 1893 წელს აბაშის რაიონის სოფელ მარანში.

რევოლუციურ საქმიანობაში ნაწრთობ ახალგაზრდა კომუნისტს 1930 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ირჩევენ. 1932-1938 წლებში ჯერ ქობულეთის რაიონში, ხოლო შემდეგ ბათუმში მუშაობს საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსად, დირექტორად. 1940 წელს კი მშობლიურ რაიონს უბრუნდება და მალე კვლავ სოფელ პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ ირჩევენ. შემდეგ ამავე კოლმეურნეობის ფერმის გამგეა.

სადაც კი მუშაობდა ლ. გიგინეიშვილი ყველგან პრინციპულობას და ღრმა პასუხისმგებლობას იჩენდა, გულსმოდგინებით ასრულებდა პარტიულ დავალებებს.

ლ. ე. გიგინეიშვილს მიღებული ჰქონდა რამდენიმე მედალი და სამკერდე ნიშანი „სკკპ რიგებში ყოფნის 50 წელი“.

ლ. ე. გიგინეიშვილის ნათელი სახე დიდხანს იცოცხლებს მის თანამებრძოლთა და მეგობართა ხსოვნაში.

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლენინგრი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — შვეისწავლეთ რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — „ჩვენი ანონსი“. 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — „დღის ფოსტა“ — მუსიკალური გადაცემა (მ.). 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.45 — პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთათვის „ცეცა“. 14.15 — „ქართული ფოლკლორის მოამაგენი“ — ელენე ვირსალაძე (განმეორებით). 15.15 — ახალგაზრდობისათვის — „ვემზადებით სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის“. ფარიკაობა. 15.55 — კონცერტი „მღერის რაფაელა კარა“. 16.15 — „ვესტნიკი“. 16.50 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა“. 20.00 — „მოამბე“. 20.30 — ახალგაზრდობისათვის — „სალამი მშვიდობისა“. 21.30 — „პოეზია“ (ქართველი პოეტების ლექსებს კითხულობს გიორგი ხარაბაძე). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — სპორტული პროგრამა 1. „გულშემატკივართა კლუბი“: ფეხბურთის უნივერსიტეტი — სსრ კავშირბრაზილიის მატჩის შესახებ. 2. „კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე „ცსკა“ — „ჟალგირისი“. მეორე ტაიმი (ვიდეოჩანაწერი).

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მე ვარ ლუბა ნიჟარაძე“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — კონცერტი „ხალხური მელოდიები“. 11.15 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 11.20 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „მელოცვა“. 12.00 — „მულტიპანორამა“. 13.05 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.10 — „თქვენი თხოვნით!“ — საესტრადო პროგრამა. 14.15 — „ჩვენი ლაშქარი“ — მანანა გუდაძე. 14.25 — „ეკრანული სახეები“— ი. კუჩიეკო. 15.15 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 15.20 — ახალგაზრდობისათვის — „გილოცავთ!“. 16.05 — „მუსიკალური კალეიდოსკოპი!“. 17.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — „მღერის ლამარა ჭყონია“. 18.00— „პოეზიის ხუთი წუთი“. 18.05 — „იავნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 19.25 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 19.30 — „მოამბე“. 20.00 — „ცისფერ ეკრანზე“ (მ.). 22.00 — „ვრემია“ (მ.) 22.35 — „თეატრალური სალამო“.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 9 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 16.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნებისაგან ვსწავლობდი“. 16.15 — შვეისწავლეთ გერმანული ენა. 16.45 — განცხადებები. 16.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.20 — მოსწავლეთათვის „კინომოზაიკა“. 18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ორი საგზური ქარხანაში“. 18.25 — „ათი ათასად ზრდილობა“ (განმეორებით). 19.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიჩუმესთან განმარტებით“, 19.15 — კამერული მუსიკის კონცერტი. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“. 20.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მიიღეთ გამოწვევა, სენიორებო!“. I სერია. (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები). 21.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „ოჯახური მარათონი“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „გულშემატკივართა კლუბი“ (ფეხბურთის უნივერსიტეტი სსრ კავშირ-შოტლანდიის მატჩის შესახებ). 00.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძიება გრძელდება“. 17.35 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა. 18.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ნაცნობი ირეში“. 18.35 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 19.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შესვენება“.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოგდომის დღის ქრონიკა“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ღია გაკვეთილი“. 11.00 — მეხუთეკლასელთათვის — მათემატიკა. 11.30 — „თქვენი თხოვნით!“ — საესტრადო გადაცემა. (ეძღვნება აეროფლოტის დღეს) (განმეორებით). 12.45 — დოკუმენტური ფილმი „ყველაფერი საუკეთესო შენში“. 13.30 — ინტერნეტმთავრობისა“ — ბიოლოგია. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების სიმაღლეზე“. 16.15 — შვეისწავლეთ ფრანგული ენა. 16.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „დათუნია რიმციმცი“. 17.05 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ“. 17.40 — განცხადებები. 17.45 — „ხალხური შემოქმედება“. „თვალთაი“ — სატელევიზიო ჟურნალი. 18.20 — „მეცნიერების სამყაროში“. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.). 19.30 — „მხიარული ნოტები“ (მ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ცეკვაობაში (გადაცემა ფინეთიდან). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მიიღეთ გამოწვევა, სენიორებო!“. II სერია (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები). 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.15 — დოკუმენტური ფილმი „ავსტრალია — ქალაქები და ადამიანები“. 18.00 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია. 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კამათი გამოსვლა“. 19.10 — განცხადებები. 19.15 — მხატვრული ფილმი „ცალმხრივი სიყვარული“.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 11 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხელი გამომიწოდე, ამხანაგო!“ 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბრიგადის დაბადების დღე“. 11.00 — მუსიკალური გადაცემა „ოცდახუთი წელი სცენაზე“ — ნოდარ ანდღულაძე (განმეორებით). 12.00 — მხატვრული ფილმი „ცისფერი ყინული“. 13.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვახ!“. 13.30 — ფიზიკის ტელეეკურსი. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მესხური ღიღინი“. 16.15 — ტელეეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „ხალხური მელოდიები“. 17.15 — სატელევიზიო ჟურნალი „ბავშვებისათვის — „ცისკარა“. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფეიერა“. 11.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა აფხაზეთი“. 12.05 — მხატვრული ფილმი „მამა და შვილი“. მეორე სერია. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი გროზნი“. 16.15 —ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 16.45 — კინონარკვევი, 17.00 — „ამაგდარი“ — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი როზა ჯოლოგუა. 17.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გარანტია და პანტაგრუელი“, 18.25 — „საბჭოები და ცხოვრება“ — ცენტრალური ტელევიზიის გადაცემის ვიდეოჩანაწერი, 18.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბიჭვინთა“. 19.10—„ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“ — „მე და სიმღერა“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 21.05 — სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „წყაროს ხმა“. პირველი მოქმედება. 22.00 — „ვრემია“. (მ.). 22.35 — სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „წყაროს ხმა“. მეორე მოქმედება. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯობა, მასწავლებელო!“ 17.40 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 18.10 — მხატვრული ფილმი „სულის სულ მცირე ნაწილი“. 19.20 — განცხადებები.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 12 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყველანი სტარტზე“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — შვეისწავლეთ ქართული ენა. 11.00 — „საესტრადო პანორამა“ (განმეორებით). 11.45 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 11.50 — „ხალხური შემოქმედება“ — სიმღერის შესწავლა („მეგრული სუფრული“). 12.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ზამთრის ჩანახატები“. 12.30 — საბჭოთა არმიის მეორმებისათვის — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“ — სატელევიზიო ჟურნალი. 13.15 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.20 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა. 14.10 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 14.15 — მსოფლიოს ჩემპიონატი ფიგურულ ცეკვაობაში (გადაცემა ფინეთიდან). 15.30 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“ — „მთიები ითქმის განმანათლებლად“. 16.20 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 16.25 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა. 16.55 — ვინ რას ამბობს „უკრავს რუსულ ტელევიზიას“. 17.25 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 17.30 — „გლობუსი“. 18.20 — „კინოაფიშა“. 18.50 — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“. 19.25 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.55 — „მოამბე“. 20.25 — მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ცეკვაობაში (გადაცემა ფინეთიდან). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე. 23.00 — „გულშემატკივართა კლუბი“ (ფეხბურთის უნივერსიტეტი. არგენტინა — იტალიის მატჩის შესახებ).

ᲙᲕᲘᲠᲐ, 13 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ენისეის იუნგები“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — შვეისწავლეთ რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ეკალაში“. № 30. 11.55 — „მხატვრის ხუთი წუთი“. 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — „დღის ფოსტა“ — მუსიკალური გადაცემა (მ.). 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.45 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ეი, თქვენ, კოვბოებო!“. 14.55 — „მხატვრის ხუთი წუთი“. 15.00 — ლიტერატურული გადაცემა — „ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ“. 15.40 — „ვესტნიკი“. 16.10 — „მხატვრის ხუთი წუთი“. 16.15 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“. 18.00 — „ხალხის ინიციატივის წყაროები“ — გადაცემა მეორე. ციკლიდან „გადაწყვეტილებას ადგილზე იღებენ“. (გადაცემაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე). (მ.). 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა“. 20.00 — „მოამბე“. 20.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ცეკვაობაში — საჩვენებელი გამოსვლები (გადაცემა ფინეთიდან). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „გულშემატკივართა კლუბი“ (ფეხბურთის უნივერსიტეტი. არგენტინა — ბრაზილია).

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — პოპულარული კამერულ-ინსტრუმენტული პიესები. 11.15 —„ახალგაზრდა სპეციალისტის აღზრდა“, საუბარი. 11.30 — მელოს ჩიქოვანების ოჯახი. 12.00 — ვ. კაკაბაძის პიესების სცენები (დაბადების 90 წლისთავის გამო). 13.30 — „ჩემი „ვეფხისტყაოსანი“. პირველი გადაცემა. 14.05 — კონცერტი. 5. მიასკოვსკის ნაწარმოებები. 15.00 — „რვა მარტს გილოცავთ!“ (მ.). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. რაიოდადგმა „იავნანამ რა ჰქმნა“. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „კავკასიონი საუელტეხილო. საუბარი მრგვალ მაგიდასთან“. 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.40 — ქართული ეკრანის მელოდიები. 20.30 — ჯ. პუჩინი. ოპერა „ტურანდოტი“. 23.30 — სიყვარულის მელოდიები 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 7.30 — „საერთაშორისო დღიური“ (მ.). 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.23 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“. 11.15 — „ქალი — ჩვენი თანამედროვე“. საუბარი. 11.30 — მელოს თვითმოქმედი ხელმძღვანელობით. 12.00 — „სარვამარტო“. ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. 12.30 — ე. ვირსალაძისა და ლ. ისაკაძის კონცერტი. 13.30 — „სალაღობო“. კონცერ